



კოალიცია

დამოუკიდებელი და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისთვის

29. 06.2018

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ ირაკლი კობახიძეს

საკანონმდებლო წინადადება

კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის,“ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 150-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას.

მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის გაუმჭვირვალე და არაობიექტური პროცესი წლებია პრობლემას წარმოადგენს და აფერხებს საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესს. მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნა არ აკმაყოფილებს ობიექტური შეფასების, დამსახურების პრინციპზე დაფუძნებული და გამჭვირვალე პროცესის მოთხოვნას, რაც აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტს წარმოადგენს.¹

¹ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა #10(2007) მართლმსაჯულების საბჭო საზოგადოების სამსახურში, პარა.: 92, 92. „მართლმსაჯულების საბჭოს ყველა გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება მოსამართლის დანიშვნას, დაწინაურებას, შეფასებას, დისციპლინას და ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება მოსამართლის კარიერის შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული... ყველა დაინტერესებულ პირს უნდა შეეძლოს, ჩაიხედოს გაკეთებულ არჩევანში და შეამოწმოს, რომ მართლმსაჯულების საბჭომ დანიშვნებთან და დაწინაურებებთან მიმართებით წესების და კრიტერიუმები გამოიყენა დამსახურების საფუძველზე.“

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები წევრი ქვეყნების მოსამართლეთათვის: დამოუკიდებლობა, ეფექტურობა და პასუხისმგებლობები”, მკ/რეკ (2010)12 ევროსაბჭო, 17 ნოემბერი, 2010, პარ. 44. “მოსამართლეთა დანიშვნის პროცესი უნდა იყოს სამართლიანი, დამსახურებაზე დაფუძნებული და გამჭვირვალე.“

მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის მარეგულირებელი კანონმდებლობის, ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის პრობლემურობაზე მიუთითებს არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნა, სადაც მოსამართლეთა შესარჩევი პროცესის გაუმჭვირვალე წესზე,² პროცესის დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობასა და გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობაზე იყო მითითება.³

ამჟამად საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი ითვალისწინებს მოსამართლის დანიშვნის განსხვავებულ პროცედურებს:

- მოსამართლის თანამდებობაზე პირის პირველად, გამოსაცდელი ვადით დანიშვნის წესი;
- გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის წესი;
- იმ მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის წესი, ვისაც აქვს სულ მცირე 3 წელი მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება;

ანალოგიური სტანდარტია დადგენილი ვენეციის კომისიის მიერ: ვენეციის კომისიის მიერ მიღებული ანგარიში 70-ე პლენარულ სხდომაზე (ვენეცია, 16-17 მარტი 2007), ვენეციის კომისია, CDL-AD(2007)028, 22 ივნისი 2007, პარ. 40; ანგარიში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის შესახებ, ნაწ. I: მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, მიღებულია ვენეციის კომისიის მიერ 82-ე პლენარულ სხდომაზე (ვენეცია, 12-13 მარტი, 2010), ვენეციის კომისია, CDL-AD(2010)004, 16 მარტი 2010, პარ. 37.

² OSCE/ODIHR სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, საქართველო 2014. გვ. 21, პარა.: 57 „იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა შეიმუშაოს მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის ძირითადი კრიტერიუმები და ერთიანი პროცედურები იმის მიუხედავად, შენარჩუნდება თუ არა გამოსაცდელი ვადა, მათ შორის პროცედურები გამოსაცდელი ვადის ბოლოს მუდმივ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვის. ამ პროცედურებით უნდა მოითხოვებოდეს სათანადო წერილობითი დასაბუთების არსებობა, რაც უნდა ახლდეს ყველა გადაწყვეტილებას.“

³ Fourth Evaluation Round (Corruption prevention in respect of members of parliament, judges and prosecutors, January 17, 2017), para. 92, 93, 94. “GRECO recommends reforming the recruitment and promotion of judges, including by ensuring that any decisions in those procedures by the High Council of Judges a) are made on the basis of clear and objective, preestablished criteria – notably merit, in a transparent manner and with written indication of reasons, and b) can be appealed to a court.”

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიშები #4 და #5.

- გარდამავალი წესი იმ მოსამართლეების უვადოდ დანიშვნისთვის, რომლებზეც აღარ ვრცელდება გამოსაცდელი ვადით დანიშვნის წესი თუმცა დანიშნული არიან გამოსაცდელი ვადით.

სასამართლო რეფორმის მეორე ტალღით საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში შემოღებულ იქნა **გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის წესი**, რომელიც მთელ რიგ პოზიტიურ ცვლილებებს ითვალისწინებს: დადგინდა მოსამართლეთა შერჩევის ორი ძირითადი კრიტერიუმი, კომპეტენტურობის და კეთილსინდისიერების. კომპეტენტურობის კრიტერიუმში კანდიდატების შეფასებისთვის შემოღებულ იქნა ქულათა სისტემა, დადგინდა კანდიდატების შეფასების პროცედურა, მოსამართლის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ღია კენჭისყრით, დანიშვნაზე უარის დასაბუთების ვალდებულება და უარის გასაჩივრების წესი. აღნიშნული ცვლილებები შესაბამისობაშია ვენეციის კომისიის რეკომენდაციასთან.⁴

2017 წლის 8 მარტს ამოქმედდა სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც ზემოაღნიშნულის ანალოგიური შერჩევის კრიტერიუმები იქნა შემოღებული **მოსამართლეთა პირველად, გამოსაცდელი ვადით დანიშვნისთვის**. თუმცა, ამ შემთხვევაში მოსამართლის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვის დადგინდა ფარული კენჭისყრის წესი, არ იქნა გათვალისწინებული დანიშვნაზე უარის დასაბუთების ვალდებულება. აღნიშნულით დადგინდა გამჭვირვალობის დაბალი სტანდარტი განსხვავებით გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების უვადოდ დანიშვნისას გათვალისწინებულისა.

მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, მესამე ტალღის საკანონმდებლო რეფორმის ამოქმედებიდან ცოტა ხანში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით,⁵ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში კვლავ განხორციელდა ცვლილებები და კანონის გარდამავალი დებულების 79⁴ მუხლით დადგინდა საგამონაკლისო წესი, რომელიც ითვალისწინებს **იმ მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის განსხვავებულ წესს, რომელთაც აქვთ მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება**. აღნიშნული მოსამართლეები თანამდებობაზე ინიშნებიან ფარული კენჭისყრით, რაც გამორიცხავს დანიშვნაზე უარის დასაბუთებას და დანიშვნაზე უარის ეფექტური გასაჩივრების შესაძლებლობას. აღნიშნული საგამონაკლისო წესი გავრცელდა მოსამართლეთა კორპუსის უმრავლესობაზე. მოქმედ მოსამართლეთა ნახევარზე მეტი

⁴ ვენეციის კომისიის დასკვნა CDL-AD(2014)031 საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების კანონპროექტზე, პუნქტი 41. [http://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2014\)031-geo](http://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2014)031-geo)

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება #3/1/659 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

სწორედ ამ გაუმჭვირვალე წესით უკვე დანიშნულია უვადოდ მოსამართლის თანამდებობაზე. ორმოცდაათზე მეტი მოსამართლე კვლავ ექვემდებარება აღნიშნული წესით დანიშვნას. ამ მოსამართლეებზეც უნდა გავრცელდეს შერჩევა/დანიშვნის ერთიანი წესი.

მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის არსებული ყველა ფორმა შეიცავს რიგ ხარვეზებს, რამაც პრაქტიკაში ცხადჰყო, რომ მიუხედავად რეფორმისა, მოსამართლეთა შერჩევა და დანიშვნა კვლავ ვერ აკმაყოფილებს ობიექტურობის, დასაბუთებულობის, დამსახურების პრინციპისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს აძლევს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.⁶

მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეთა დანიშვნის ყველა წესი, მიუხედავად იმისა, გამოსაცდელი ვადით ინიშნება პირი მოსამართლის თანამდებობაზე თუ უვადოდ, იყოს დასაბუთებული, აკმაყოფილებდეს ობიექტურობისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს, ეფუძნებოდეს დამსახურების პრინციპს.

ქვემოთ წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებით გათვალისწინებული ცვლილებების მიზეზებსა და დასაბუთებას. კოალიცია მიიჩნევს, რომ შემოთავაზებული ცვლილებების დროულად განხორციელებით მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნასთან დაკავშირებით არსებული პრობლემური მდგომარეობა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება. ამისათვის, საჭიროა ცვლილებები იქნას შეტანილი მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის წესში შემდეგ საკითხებზე:

1. **მოსამართლეობის კანდიდატების ქულებით შეფასება უნდა გახდეს დასაბუთებული, დადგინდეს კანდიდატების შეფასების დეტალური წესი** - მოსამართლეთა შერჩევის კანონით დადგენილი კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების შემოწმების მახასიათებლები, დანიშვნის არცერთი ფორმისთვის, არ განსაზღვრავს, თუ რა ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დაასკვნას შემფასებელმა, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს თითოეული კრიტერიუმით განსაზღვრულ მახასიათებელს. მაგალითად, კანონი ითვალისწინებს, რომ დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა. თუმცა, არ არის დადგენილი თუ როგორ, რა წყაროებსა და

⁶ <http://ombudsman.ge/uploads/other/5/5139.pdf> - საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში - საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ - 2017 წელი

მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა დაასკვნას შემფასებელმა, რომ კანდიდატი შეესაბამება აღნიშნულ მოთხოვნებს.

ქულათა სისტემის შემოღების მიუხედავად, კვლავ არ არსებობს კანდიდატის შეფასების დასაბუთების ვალდებულება. იმისთვის, რომ შეფასება იყოს დასაბუთებული, კანონმა თითოეულ მახასიათებელთან მიმართებაში უნდა დაადგინოს ინფორმაციის მოძიების წყაროები და მტკიცებულებები, რომლითაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები თანაბარი მიდგომით დაასკვნა და დაასაბუთებენ, აკმაყოფილებს თუ არა კანდიდატი დადგენილ კრიტერიუმებს. თითოეული მახასიათებლით შეფასებისას საბჭოს წევრებმა შესაბამის შეფასების ფურცლებში უნდა განმარტონ, თუ რატომ და რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეაფასეს კანდიდატი ამა თუ იმ ქულით.

კანონით იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უნდა დაუწესდეს ვალდებულება, დაადგინოს მოსამართლეობის კანდიდატების, გამოსაცდელ ვადაში მყოფი მოსამართლეების შეფასების დეტალური წესი, რომელიც კანონით დადგენილ წესთან დამატებით, უფრო დეტალურად და ნათლად მოაწესრიგებს შეფასების პროცედურას. ასე მაგალითად, კანონი ითვალისწინებს კანდიდატის მიერ მიღებული ხუთი გადაწყვეტილების შეფასებას, თუმცა კონკრეტულად არ არის გაწერილი როგორ უნდა მოხდეს გადაწყვეტილებების შეფასება. იგივე შეეხება შეფასების პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. კანდიდატების შეფასების დეტალური წესის დადგენის რეკომენდაციას ითვალისწინებს ასევე საქართველოში სასამართლო პროცესების მონიტორინგის ეუთოს ანგარიში.⁷

ამასთან, ინფორმაციის მოძიების ეტაპზე კანონი ზოგადად ადგენს მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ რეკომენდაციების მოპოვების საკითხს. აქაც, უფრო დეტალურად უნდა დადგინდეს რეკომენდატორების მინიმალური რაოდენობა, რაც კანდიდატის შესახებ უნდა მოიძიოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ.

⁷ ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, 2014, გვ. 40. პუნქტი „ე“, მოსამართლეთა გამოსაცდელი პერიოდით დანიშვნის შენარჩუნების შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა შეიმუშაოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში შემავალი დებულებებისთვის დამატებითი რეგულაციები მოსამართლეთა მონიტორინგისა და შეფასებების შესახებ და გაითვალისწინოს საერთაშორისო რეკომენდაციები მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების საერთაშორისო სტანდარტების კუთხით.“

ინფორმაციის მოძიების ზემოაღნიშნული წესი (ე.წ. background check), უნდა გავრცელდეს მოსამართლეობის ყველა კანდიდატზე, მიუხედავად იმისა პირველად გამოსაცდელი ვადით ინიშნება პირი თუ უვადოდ.

მოსამართლეობის კანდიდატების შეფასების ქულათა სისტემა ვრცელდება მხოლოდ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატების შეფასებაზე. ქულათა სისტემა და შეფასების წყაროები უნდა გავრცელდეს კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატების შეფასებისას.

2. **კანონით უნდა დადგინდეს კანდიდატებთან გასაუბრება საბჭოს ღია სხდომაზე; უნდა მოხდეს გასაუბრების პროცესის ფორმალიზება და დადგინდეს გასაუბრების ხვედრითი წილი კანდიდატის შეფასებაში** - საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი არ ადგენს მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრების დახურულ სხდომაზე ჩატარების წესს. მიუხედავად აღნიშნულისა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილია წესი, რომლის თანახმადაც, მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრება ტარდება დახურულ სხდომაზე. სწორედ ამ წესით ხელმძღვანელობს საბჭო კანდიდატებთან გასაუბრების სხდომების დახურვისას.

თავდაპირველად საბჭო გასაუბრების ეტაპს ატარებდა ღია სხდომაზე. თუმცა, ბოლო დროს მოსამართლეობთან გასაუბრების სულ უფრო მეტი სხდომა იხურება - 2016 წელს მოსამართლეობის ოთხმა კანდიდატმა მოითხოვა გასაუბრების დახურვა, 2017 წლის განმავლობაში კი ამ რიცხვმა 45-ს მიაღწია, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს მოსამართლეთა შერჩევის პროცესის გამჭვირვალობას. აღნიშნულის გათვალისწინებით საჭიროა, რომ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონით გათვალისწინებულ იქნას დანაწესი იმის შესახებ, რომ მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრება ტარდება საბჭოს ღია სხდომაზე.

კანდიდატთან გასაუბრების პროცესი არ არის საკმარისად ფორმალიზებული - არ არის დადგენილი გასაუბრების ჩატარების და გასაუბრების შეფასების დეტალური წესი, ერთგვაროვანი მიდგომის გამოყენების ვალდებულება, გასაუბრების ხვედრითი წილი კანდიდატის საერთო შეფასებაში, რაც იძლევა გასაუბრების ეტაპზე თვითნებობის ფართო შესაძლებლობას.

3. **კენჭისყრის პროცედურა უნდა გაუქმდეს და მოსამართლის თანამდებობაზე უნდა დაინიშნოს საუკეთესო შეფასების მქონე კანდიდატი** - კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებით კანდიდატების შეფასების შემდეგ, კანონი

ითვალისწინებს მოსამართლის თანამდებობაზე პირის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას კენჭისყრით. მოსამართლეთა შეფასების საფუძველზე დანიშვნის წესთან შეუსაბამოა მოსამართლის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება კენჭისყრის (დია ან ფარული) საფუძველზე. კენჭისყრის ეტაპის შენარჩუნება და დასაბუთების ვალდებულების არარსებობა საშუალებას აძლევს საბჭოს წევრებს, ხმის მიცემისას არ გაითვალისწინონ ობიექტური შეფასების შედეგები, კანდიდატის მიერ მიღებული ქულები და დაუსაბუთებლად, სუბიექტური გადაწყვეტილებით დანიშნონ მოსამართლეები.

ამგვარი განსხვავებული მიდგომის თავიდან აცილების მიზნით, ასევე, იმისთვის, რომ მოსამართლეთა დანიშვნა დამსახურების პრინციპს დაექვემდებაროს, მიზანშეწონილია მოსამართლის დანიშვნის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღებოდეს კანდიდატის მიერ მიღებული ქულების შესაბამისად და არა კენჭისყრის საფუძველზე. კერძოდ, შეფასების ეტაპი წარმატებით გავლილად ჩაეთვლება იმ კანდიდატს, რომელსაც საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3 სულ მცირე 70 ქულით შეაფასებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმში ცალ-ცალკე. ხოლო, მოსამართლის თანამდებობაზე, ვაკანტური ადგილების შესაბამისად, დანიშნება ქულათა დაჯამების შედეგად საუკეთესო ქულის მქონე კანდიდატი.

რაც შეეხება გამოსაცდელ ვადაში მყოფი მოსამართლეების სამწლიანი შეფასების შედეგად უვადოდ დანიშვნას, აქ მართალია კანონის 36⁴ მუხლის მე-20 პუნქტი ითვალისწინებს დასაბუთების ვალდებულებას, მაგრამ არ არის დადგენილი, რომ აღნიშნული დასაბუთება არსებული კრიტერიუმების და მახასიათებლების შეფასების შედეგად უნდა მოხდეს. კანონი ადგენს 6 შემფასებლის ვალდებულებას არსებული კრიტერიუმებით შეაფასონ კანდიდატი, თუმცა შემფასებლების მიერ მომზადებული ანგარიშის ანალიზის შედეგად საბჭოს 15 წევრის ვალდებულება, რომ ამავე კრიტერიუმებით და ქულათა სისტემით შეაფასონ კანდიდატი, არ არის გათვალისწინებული. მართალია საბჭოს 15 წევრი გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობა კანდიდატის შესახებ 6 შემფასებლის მიერ მომზადებულ შეფასების დოკუმენტაციას, თუმცა, საბჭოს წევრებს, თავის მხრივ, გადაწყვეტილების დასაბუთება მოეთხოვებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებაზე უარის თქმის შესახებ (საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონის 36⁴-ე მუხლის მე-20 პუნქტი). აღნიშნული დასაბუთების პროცედურა არ არის დადგენილი, არ არის გათვალისწინებული მტკიცებულებები და წყაროები, თუ რას უნდა ეფუძნებოდეს დასაბუთება. იმისთვის, რომ დანიშვნის ეს ფორმაც დაექვემდებაროს ობიექტურობის და დამსახურების პრინციპს, სამწლიანი გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის უვადოდ დანიშვნის

გადაწყვეტილება (6 შემფასებლის მიერ შეფასების სამწლიანი პროცედურის დასრულების შემდეგ), უნდა დაექვემდებაროს შერჩევა/დანიშვნის საერთო პროცედურას - ობიექტური კრიტერიუმებით და ქულათა სისტემით შეფასების შედეგად საუკეთესო შეფასების მქონე კანდიდატის უვადოდ დანიშვნის წესს, სამწლიანი შეფასების შედეგების გათვალისწინებით.

4. დანიშვნის ყველა ფორმისთვის, როგორც გამოსაცდელი ვადით დანიშვნის, ისე უვადოდ დანიშვნისას, კანონით უნდა დადგინდეს მოსამართლის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ეფექტური მექანიზმი. ვინაიდან მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული, დანიშვნაზე უარის გასაჩივრების კანონით დადგენილ საფუძვლებს უნდა დაემატოს გასაჩივრების საფუძველი, როცა გადაწყვეტილება დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი ითვალისწინებს მოსამართლის დანიშვნასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში. კანონით არ არის დადგენილი გასაჩივრების ამ მექანიზმის გამოყენებისას სასამართლომ რომელი პროცესუალური ნორმებით უნდა იხელმძღვანელოს, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესებით. მნიშვნელოვანია კანონით დადგინდეს, რომ მოსამართლის დანიშვნასთან დაკავშირებულ დავას იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და მოსამართლეობის კანდიდატს შორის საკვალიფიკაციო პალატა განიხილავს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონით დადგენილი წესით, ხოლო თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ვრცელდება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესები.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების ნომინირება

საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით უვადოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი.“ კანდიდატს შეარჩევს და საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. კონსტიტუციის აღნიშნული ცვლილებების ამოქმედება გათვალისწინებულია საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.

საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტზე ვენეციის კომისიის 2017 წლის 19 ივნისის დასკვნით მოწონებულ იქნა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებასთან და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლის გაზრდასთან დაკავშირებული ცვლილებები.

აღსანიშნავია, რომ ამავე დასკვნაში ვენეციის კომისია ხაზს უსვამს, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ქვეყანაში მნიშვნელოვანი კრიტიკის საგანია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვენეციის კომისია იძლევა რეკომენდაციას საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნაში საბჭოს როლის გაზრდაზე, იმ პირობით, რომ საბჭოს უფლებამოსილებების გაზრდა უნდა გახდეს საბჭოს მარეგულირებელი კანონმდებლობის რეფორმირების მიზეზი.⁸

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ კონსტიტუციის ცვლილებების ამოქმედებამდე, იქამდე ვიდრე ძალაში შევა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება მოახდინოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების ნომინირება, რეფორმას დაექვემდებაროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა, საბჭოს მიერ მოსამართლეთა შერჩევის და გადაწყვეტილებების მიღების წესი, კანონმდებლობით გათვალისწინებულ იქნას საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის, ობიექტური და დამსახურების პრინციპზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების საკანონმდებლო გარანტიები. შესაბამისად, უნდა განისაზღვროს სასამართლო სისტემის რეფორმის მეოთხე ტალღის პრიორიტეტული საკითხები და პარლამენტის მიერ მეოთხე ტალღის რეფორმის დამტკიცების ვადები.

საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დამატებით მოწესრიგებას საჭიროებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების საბჭოს მიერ ნომინირების საკითხი:

1. შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტებით, რაც ზემოთ უკვე იყო ნახსენები, მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმები და დანიშვნის პრინციპები ერთიან სტანდარტს ემყარება. როგორც ქვედა ისე უმაღლესი ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეების დანიშვნის მიმართ მოქმედებს დანიშვნის ობიექტური, დამსახურების პრინციპზე დაფუძნებული პროცესი, დანიშვნის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილებით.

შესაბამისად, საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონით დადგენილი მოსამართლის შერჩევის კრიტერიუმები უნდა გავრცელდეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის დანიშვნაზეც. ამასთან, უნდა დადგინდეს დამატებით მოთხოვნები,

⁸ OPINION ON THE DRAFT REVISED CONSTITUTION Adopted by the Venice Commission at its 111th Plenary Session (Venice, 16-17 June 2017), para.: 81.

რაც მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატს წაეყენება. მაგალითად, პროფესიით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება; აკადემიური და/ან სამეცნიერო საქმიანობის მინიმუმ 5 წლის გამოცდილება; უნდა დადგინდეს შეზღუდვა, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც ბოლო 5 წლის განმავლობაში ეკავა სახელმწიფო პოლიტიკური ან პოლიტიკური თანამდებობა ან ეწეოდა პარტიულ საქმიანობას.

2. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის დანიშვნის პროცესი განსაკუთრებული საჯარო ინტერესის საგანია. საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით უნდა დადგინდეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევისა და დანიშვნის პროცესის გამჭვირვალობის კიდევ უფრო მაღალი სტანდარტი. კანდიდატების შერჩევა უნდა მოხდეს ღია კონკურსის საფუძველზე. საბჭოს მიერ დამუშავებული და მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია კანდიდატების შესახებ უნდა იყოს ღია. კანდიდატების შესახებ სრული ინფორმაცია (კანდიდატის პირადი საქმე) საბჭომ უნდა გამოაქვეყნოს თავის ვებ-გვერდზე. კონკურსის გაგრძელება კანდიდატების რეგისტრაციიდან მხოლოდ 2 თვის შემდეგ უნდა იყო შესაძლებელი, რათა კანდიდატების შესახებ საზოგადოებაში გაიხსნას დისკუსია და შესაძლებელი იყოს მათ შესახებ გარკვეული ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, მოპოვებული ინფორმაციის საბჭოსთვის მიწოდება. გარდა ამისა, იმდენად, რამდენადაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლის არჩევის პროცესისადმი არსებობს განსაკუთრებით მაღალი საჯარო ინტერესი, დაინტერესებულ პირებს, უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, წინასწარი რეგისტრაციის საფუძველზე, გასაუბრების დროს კითხვები დაუსვან კანდიდატებს.
3. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის შერჩევა უნდა დაექვემდებაროს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეთა შერჩევის პროცედურას, რომელიც დაიხვეწება ზემოთ მითითებული რეკომენდაციების შესაბამისად. კერძოდ, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებზე გავრცელდეს კომპეტენტურობის და კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით შეფასების ქულათა სისტემა, დადგინდეს შეფასების წყაროები და მტკიცებულებები, კანდიდატებთან გასაუბრება ჩატარდეს საბჭოს ღია სხდომაზე.
4. ორგანული კანონით დადგინდეს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე საქართველოს პარლამენტს წარუდგენს იმ კანდიდატებიდან საუკეთესო შეფასების მქონე 3 კანდიდატს. საუკეთესო კანდიდატების შერჩევის წესი უნდა იყოს ქვემდგომი სასამართლოების მოსამართლეობის შერჩევის წესის ანალოგიური. კერძოდ, შეფასების ეტაპი

წარმატებით გავლილად ჩაეთვლება იმ კანდიდატს, რომელსაც საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3 სულ მცირე 70 ქულით შეაფასებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმში ცალ-ცალკე. ხოლო, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე წარდგენილი იქნებიან ქულათა დაჯამების შედეგად საუკეთესო ქულების მქონე კანდიდატები.

5. მიზანშეწონილია იუსტიციის საბჭომ პარლამენტს წარუდგინოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ ადგილზე სულ მცირე 3 კანდიდატი. ამასთან, პარლამენტის მიერ კანდიდატის არარჩევის შემთხვევაში საბჭო უნდა იყოს უფლებამოსილი პარლამენტს ერთი და იგივე კანდიდატი მხოლოდ ორჯერ წარუდგინოს. თუ კანდიდატი მეორედაც არ იქნება არჩეული, საბჭომ ხელახალი კონკურსი უნდა ჩაატაროს. თუ საბჭოს მიერ ჩატარებული კონკურსის შედეგად, წარსადგენი კანდიდატების საჭირო რაოდენობა არ მოგროვდა, საბჭო მინიმუმ სამი კანდიდატის წარდგენის მიზნით საჭირო რაოდენობის კანდიდატების დამატებით შესარჩევად კვლავ გამოაცხადებს კონკურსს.
6. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებზე არ უნდა გავრცელდეს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების და იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლის მოთხოვნა, რაც გაზრდის კონკურენციას და უფრო მეტ პროფესიონალს მისცემს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევ კონკურსში. ამასთან, კონკურენცია არ უნდა შეიზღუდოს მოსამართლედ ან სასამართლო სისტემაში მუშაობის გამოცდილების მოთხოვნით.
7. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატის შეფასების პროცესი უნდა დაექვემდებაროს გასაჩივრებას უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში. გასაჩივრებას ვერ დაექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე წარდგენილი პირის აურჩევლობა.
8. მაღალი საჯარო ინტერესიდან და საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, კანონით უნდა განისაზღვროს დეტალური პროცედურა, რომლის დაცვითაც უნდა მოხდეს პარლამენტის მიერ კანდიდატების არჩევა. კერძოდ, უნდა დადგინდეს პარლამენტის მიერ კანდიდატურების განხილვის მაქსიმალური ვადა, პარლამენტის კომიტეტების მიერ კანდიდატურების მოსმენის და კითხვების დასმის პროცედურა, დაინტერესებული პირების დასწრების და კითხვების დასმის შესაძლებლობა,

დაინტერესებული პირების მიერ პარლამენტისთვის კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვადა და წესი.